

შეთანხმება

თურქეთის რესპუბლიკაში პროფესიული პრაქტიკის გავლის შესახებ

საშუამავლო მომსახურების თაობაზე

მუხლი 1 – მხარეები

ერთის მხრივ, კომპანია "INTERNATIONAL EDUCATION CONSULTANT" LTD (შემდგომში ეწოდება IEC LTD), საიდენტიფიკაციო კოდი - 400202972, და მეორეს მხრივ, შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი (შემდგომში „უნივერსიტეტი“), საიდენტიფიკაციო კოდი - 206046045, დებენ წინამდებარე შეთანხმებას, 2 ეგზემპლარად:

მუხლი 2 – შეთანხმებული პირობები

2.1. IEC LTD უზრუნველყოფს თურქეთის რესპუბლიკაში პროფესიული პრაქტიკის გავლას თქუ სტუდენტების ჯანდაცვის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის. IEC LTD მონაწილე სტუდენტებისთვის უზრუნველყოფს, თურქეთის რესპუბლიკის ჯანდაცვის სამინისტროების უფლებამოსილ სამეცნიერო და კვლევით საავადმყოფოებში გაიარონ 28 (ოცდარვა) დღიანი პროფესიული პრაქტიკა.

2.2 ამ პროგრამაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ 18 (თვრამეტი) წლის ზევით სტუდენტებს, თქუ ჯანდაცვის ფაკულტეტის მიერ რეალიზებული შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პროფესიული პრაქტიკის კომპონენტის დასაძლევად.

2.3 თქუ სტუდენტი აღნიშნულ პროგრამაში ჩასართავად, დებს ცალკე ხელშეკრულებას IEC LTD-თან. ეს უკანასკნელი ვალდებულია პირნათლად შეასრულოს სტუდენტის წინაშე ნაკისრი ვალდებულებები, მათ შორის დადებული ხელშეკრულების შესაბამისად. კერძოდ, IEC LTD თქუ სტუდენტებისთვის უზრუნველყოფს დახვდება-გაცილებას, საცხოვრებლად განთავსებას, მიმღებ შესაბამის სამეცნიერო და კვლევით საავადმყოფოში პრაქტიკანტად რეგისტრაციასა და პრაქტიკის გავლის ტექნიკურ მხარდაჭერას, თურქეთის რესპუბლიკაში ყოფნის დროს სტუდენტთა სამგზავრო დაზღვევას. საჭიროების შემთხვევაში, თურქეთში სტუდენტებისთვის ადვოკატის მიერ გაწეული იქნება უფასო იურიდიული

მომსახურება. სტუდენტი 7 დღე და 24 საათი უზრუნველყოფილი იქნება უფასო კონსალტინგური მომსახურებით.

2.4. უნივერსიტეტი სტუდენტის წინაშე პასუხს არ აგებს IEC LTD-ის მიერ სტუდენტთან დადებული ხელშეკრულების არაჯეროვნად შესრულების ან არ შესრულებისათვის.

2.5. IEC LTD ვალდებულია თჰუ სტუდენტებთან დადებული ხელშეკრულებების პროექტის ასლები მიაწოდოს თჰუ-ს; თავის მხრივ, უნივერსიტეტი უფლებამოსილია, სტუდენტის მიერ IEC LTD-სთან ხელშეკრულების დადების თაობაზე, საქმის კურსში ჩააყენოს სტუდენტის უფლებამოსილი წარმომადგენელი (მშობელი / მზრუნველი / მეურვე), რომელიც ასეთად მითითებულია სტუდენტის მიერ პირად ბარათში.

2.6. უნივერსიტეტი ვალდებულია, ხელმოწერილი ხელშეკრულების წარმოდგენის შემთხვევაში და სტუდენტის წერილობითი თანხმობით, უზრუნველყოს მიმღები ორგანიზაციის (სავადმყოფოს) მიერ მოთხოვნილი სტუდენტის პერსონალური მონაცემები IEC LTD-ის მიერ მითითებულ ფაქსზე ან/და ელ-ფოსტის მისამართზე.

2.7. სტუდენტები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ მათი განათლების შესახებ მიწოდებული ინფორმაციის და დოკუმენტების სისწორე. IEC LTD უფლებამოსილია აღნიშნული მონაცემები გადაამოწმოს უნივერსიტეტში, სტუდენტის წინასწარი თანხმობით.

მუხლი 3 – შეთანხმების მოქმედების ვადა და შეწყვეტის წესი

3.1 შეთანხმება იდება 1 წლის ვადით;

3.2. შეთანხმება ავტომატურად გრძელდება იმავე ვადით, თუ რომელიმე მხარე 30 კალენდარული დღით ადრე არ შეატყობინებს მეორე მხარეს შეთანხმების შეწყვეტის თაობაზე, ვადის გასვლის გამო;

3.3. ეს შეთანხმება შეიძლება შეწყდეს ნებისმიერ დროს, ერთ ერთი მხარის ინიციატივით, რა დროსაც აღნიშნულის თაობაზე უნდა ეცნობოს 30 კალენდარული დღით ადრე;

3.4. შეთანხმება შეიძლება შეწყდეს მხარეთა ურთიერთშეთანხმებით;

3.5. დავები გადაწყდება მოლაპარაკებების გზით, ხოლო მხარეთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, სასამართლოს მიერ.

3.6. შეთანხმებისათვის გამოიყენება საქართველოს კანონმდებლობა;

"TEC LTD"-ის

დირექტორი : დოლუქან არას სერთ,

თურქეთი,

ID: 19051049098, U03089342

მისამართი: თუნალი ჰილმის ქუჩა №94/18

ქავაქლიდერე/ჩანქაია/ანკარა

ბ. N14, კორპ. „ა“, ქვიშხეთის ქ., თბილისი,

საქართველო

თარიღი: 01/07/2017

ხელმოწერა:



შპს თბილისის ჰუმანიტარული

სასწავლო უნივერსიტეტი

რექტორი: ვალენტინა საყვარელიძე

მისამართი: თბილისი, ბერი გაბრიელ

სალოსის გამზ. 31

თარიღი: 01/072017

ხელმოწერა:

